თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №3

ქ.თელავი 13-14. 03. 2018 წ.

თავმჯდომარე: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, არჩილ თვალიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მ. ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ელენე ფროდეული.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის პროექტის განხილვის შესახებ
2. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ
3. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სახელბურთო კლუბი თელავი"-ს მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

4. თელავის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მეწარმე იურიდიული პირების- შ.პ.ს.„თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს და შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური“-ს შერწყმის (გაერთიანების) მიზნით რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

5. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №5 დადგენილების„ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველ ობის მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე პროექტის განხილვა.

6. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №16 დადგენილების „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე პროექტის განხილვა.

7. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის პროექტის განხილვის შესახებ

8. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

9. თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების პროექტის განხილვის შესახებ

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უპირობოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

11. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

12. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების პროექტის განხილვის შესახებ.

მოისმინეს:თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის პროექტის განხილვის შესახებ

ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ შეიცავს სამართლებრივ ხარვეზებს.

აზრი გამოთქვეს: ა. თვალიაშვილმა განაცხადა, წარმოდგენილი პროექტი მისაღებია და მნიშვნელოვანია რომ მოხდეს მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა სწორედ ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ტიტე დარეჯანიშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნები არ გააჩნია.

მედეა ჩაფურიშვილმაც დაადასტურა, რომ პროექტი სამართლებრივად გამართულია.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სახელბურთო კლუბი თელავი"-ს მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, მიზანშეწონილია მითითებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაცია, რადაგან იგი არ ფუნქციონირებს და უმოქმედოა, მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრებიც.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომაზე გასატან საკითხთა ნუსხაში შესატანად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მეწარმე იურიდიული პირების - შ.პ.ს. „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს და შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური"-ს შერწყმის (გაერთიანების) მიზნით რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მ.ჩაფურიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად, ამავე დროს აღნიშნა რომ მითითებული სუბიექტების შერწყმა აუცილებელია, ორი მუნიციპალიტეტის შერწყმის გამო, რათა არ მოხდეს ერთ და იგივე პროფილის ორგანიზაციის დუბლირება.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის წარდგენა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: . ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №5 დადგენილების„ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობ ის მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობების ფორმის დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ელენე ფროდეულმა აღნიშნა, რომ იმდენად, რამდენადაც მერიის საჯარო პროფესიულ მოხელეთა სამაუშაოთა აღწერილობებს კანონში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი, არა არის მიზანშეწონილი საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის მოქმედება და იგი ძალადაკარგულად უნდა იქნას ცნობილი.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრების მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დებულების პროექტის წარდგენა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №16 დადგენილების „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მედეა ჩაფურიშილმა განმარტა, აღნიშნული საკითხის განხილვა არ წარმოადგენს საკრებულოს უფლებამოსილებას და მიზანშეწონილია მითითებული ნორმატიული აქტის გაუქმება.

გადაწყვიტეს: კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი წარმოდგენილი სახით წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ პროექტან დაკავშირებით შენიშვნა არ გააჩნია.

გადაწყვიტეს: რომ პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ პროექტი სამართლებრივად გამართულია, რასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები

გადაწყვიტეს:წარედგინოს საკრებულოს ბიუროს პროექტი საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს:თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი ფორმების დამტკიცება აუცილებელია, ამავე დროს იგი სამართლებრივად გამართულია.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს წარმოდგენილი ფორმები საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უპირობოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს:კომისიის წევრებმა, კერძოდ ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ პროექტი სამართლებრივად გამართულია, დავით ღაღანიძემ კი აღნიშნა რომ წინააღმდეგია კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც თავისი კომერციული მიზნები გააჩნია, გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება უპირობოდ.

გდაწყვიტეს: კომისიის წევრებმა აღნიშნეს რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ აღნიშნულ საკითხს საკრებულოს სხდომაზე განხივის დროს.

მოისმინეს:თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა რომ განსახორციელებელი ცვლილება განპირობებულია იმით რომ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებელების“ შესახებ კრძალავს რომელიმე სუბიექტისთვის შეღავათების დაწესებას, ამიტომ აღნიშნული დადგენილებიდან ამოღებულ უნდა იქნას მე-4 მუხლი.

გადაწყვიტეს: წარედგონოს წარმოდგენილი ცვლილების პროექტი ბიუროს, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად .

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა რომ აღნიშნული პროექტი შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ნანა ხვისტანმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მისაღებია.

გადაწყვიტეს: წარედგინოს პროექტი საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად.

კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი